ქალაქის სამშენებლო მოედნებზე კი, როგორც ეს სოციალისტური შრომის გმირმა, კომპლექსური ბრიგადის თავკაცმა შ. მოდებაძემ გვითხრა, შეიმუშავეს მოქმედების საკუთარი პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს XXI ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“. მოწინავე მშენებელი გვეუბნება, აგრეთვე, რომ პროექტის თვითეული პუნქტი, თვითეული სტრიქონი ნათლად მეტყველებს, თუ რა გრანდიოზული მასშტაბის ამოცანათა გადაწყვეტა შეუძლია საბჭოთა ხალხს...

ახალი ხუთწლედის თაობაზე საამქროებსა და ცალკეულ უბნებში წამოწყებული სჯა-ბაასი კიდევ უფრო გაფართოვდა ამ დღეებში რუსთავის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. მომხსენებელმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიძემ და კომათის მონაწილეებმა: მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. სულადმ. ქიმიური კომბინატის უფროსმა მეპატარეებმ ნ. ეერესელიძემ, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. უბერიამ, № 1 სამშენებლო ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა დ. კოტეტიშვილმა, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის **თავმჯდომარემ თ. ხაზარაძემ** და სხვებმა ანალ

სკკპ XXV ყრილობის უსასახელოდ

ხუთწლედის პრობლემები

გაპოხეპარება • წინაღდეგა • პოლემიკა

განვიხილავთ პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის პროექტს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ

● ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲛᲪᲣᲠᲐᲕ ᲛᲘᲬᲘᲡᲛᲬᲝᲕ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲜᲐ.

● ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ. ᲔᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ, ᲠᲐᲪ 39 ᲐᲗᲐᲡᲘᲐ ᲢᲝᲜᲘᲗ ᲐᲭᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲕᲒᲛᲐᲡ.

● ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲠᲔᲯᲘᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲕᲐ 11,2 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲐ.

● ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲠᲔᲯᲘᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ 26 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ — 25,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

ᲤᲝᲗᲝᲗᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ მანქანათსამშენებლო ქარხანა ჩვენი ქვეყნის ერთადერთი საწარმოა, რომელიც მხოლოდ მცურავ მიწისმწოვ მანქანებს ამზადებს. ქარხნის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, ვინაიდან მიწისმწოვი მანქანების გარეშე დღეს არმოუდგენელია სამელიორაციო-სამრეწველო სამუშაოები. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მანქანების კონსტრუქციულმა სრულყოფამ საგრძნობლად გაამდიდრა მათი საექსპლოატაციო თვისებები, გააფართოვა გამოყენების არე, ოღონდ შემთხვევითი როდია, რომ ო�ეს მანქანათმშენებელთა მიერ ამზადებულ მიწისმწოვებს დღეს ძირითადად იყენებენ ქიმიურ და ტალღურგიულ წარმოებაშიც, ხოლო თუ წინათ ძირითად მომხმარებლად შუა აზიის რესპუბლიკები ითვლებოდნენ, ამჟამად ამ მანქანებს ნახავთ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში.

დიდი მოთხოვნილებაა ამ პროდუქციაზე საზღვარგარეთაც. ქარხნის მარკით დამზადებული მანქანები მსოფლიოს 20 ქვეყანაში გაგზავნეს. ყოველწლიურად მატულობს საექსპორტო ნაწარმის ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო მოცულობაში, ეს კი დიდ მოგებას უყენებს საწარმოს კოლექტივს.

ქარხნის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცხრე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადსა და 11 თვეში. გადაჭარბებით შეკვრულია ხუთწლიანი გეგმა.

საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს ჩატარება მოუხდათ ქარხნის მშრომელებს, რათა გაართვათ შეეტანათ პროდუქციის წარმოების რიტმულობაში. ცნობილია, რომ სოციალისტური შეჯიბრება უპირველესად მოითხოვს ხარისხიერ მაჩვენებლების სწორ ლიზს, დაგეგმვისა და აღრიცხვის მოწესრიგებას. საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით, მატერიალური მომარაგების სისტემის გაუმჯობესებით მივაღწიეთ იმას, რომ ადგილობრივი გეგმების შესრულება ავე დაკანონებულიყო, როგორც ასეთ დავალებისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წლის დასაწყისში მეტად ოფიციალურ წარმოებათა მუშაობა ექსპორტო პროდუქციის წარმოების დავალებათა შესრულებისა. ეს ბანაი შეუქმნა კარგი ფინანსური შესაძლებლობა წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. ზეგეგმითი მოგებისა და სხვა ეკონომიური ეფექტიანობისაგან დაგროვილი თანხები ხმარდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სამედიცინო მომსახურებას, საბინაო ფონდის რემონტს. წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 100-ადგილიანი სასადილო, რომელიც არსებულ ორასადგილიან სასადილოსთან ერთად მთლიანად უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა სწრაფ მომსახურებას.

წლის ბოლომდე მექანიკურ საამქროს დამატებით მიუშენდება სათავსოები, გაფართოვდება სამქედლო საამქრო, მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ხის დამამუშავებელ საამქროს, პლასტმასისა და პოლიმერების უბანს. წლეულს განხორციელდა საკორპუსო საამქროს ხელახალი ტექნოლოგიური განლაგების სქემა, რამაც არსებულ ფართობზე საგრძნობლად გაზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. ამჟამად ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგები მუშაობენ პროგრამული მართვის სახარატო ჩარხების შეძენა-დანერგვაზე, რაზედაც გათვალისწინებულია დაიხარჯოს 200 ათას მანეთამდე. პროგრამული მართვის ჩარხების უბანი შემდგომშიაც გაფართოვდება და ამით წარმატებით გადაწყდება დეტალების მექანიკური დამუშავების საკითხი.

კოლექტივის საერთო საწარმოო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამომბილი ფართო შოხმარების ნაკეთობათა დამზადებას. შარშან დამთავრდა ახალი საამქროს მშენებლობა, ხოლო წლის ბოლომდე დასრულდება სამონტაჟო-გამართვითი სამუშაოები. საამქროს საწარმოო სიმძლავრე მოლიანად ამოქმედების შემდეგ 1,5 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ქარხანაში 50-ზე მეტი საწარმოო ბრიგადაა, რომელთა თავდადებული შრომა მტკიცე საფუძველს ქმნის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. ბრიგადებს, უბნებსა და საამქროებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და შრომის კულტურას.

1976 წელს ქარხნის მშრომელები რთული ამოცანების წინაშე დგანან. გარდა იმისა, რომ საგრძნობლად უნდა განახლდეს პროდუქცია, წლევანდელთან შედარებით წარმოების მოცულობა საგრძნობლად უნდა გაგზარდოთ, მანქანების ერთი მეოთხედი საექსპორტოდ უნდა გაგზავნოთ. ახალი ძალით გავშალეთ სოციალისტური შეჯიბრება; წლიური ნაკისარი ვალდებულება, რომელიც გეგმის გადამეტებით 150 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებს, უკვე შესრულეთ.

ფოთელი მანქანათმშენებლები არ სჯერდებიან საკუთარ გამოცდილებას, სწავლობენ და ანალიზებენ მოწინავე საწარმოთა მიღწევებს, წლის თერმეტ თვეში მიღწეული წარმატებანი იმის გარანტიაა, რომ კოლექტივი განმტკიცებს შრომით ტრადიციებს და ეადამდე განახორციელებს სახელმწიფო გეგმას და ახალი წარმატებებით შეხვდება სკკპ XXV ყრილობას.

ჩვენთვის მომავალი ხუთწლედი კლავაც იქნება წარმოების სრულყოფის, ახალი პროდუქციის ათვისების და არსებულის გადახალისებისა და დახვეწის ხუთწლედი. ამასთან, როგორც ეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებშია აღნიშნული, მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ მანქანების ხარისხი, ავამაღლოთ მათი ტექნიკური დონე, მწარმოებლობა და საიმედოობა.

დ. მაღალაშვილი,
ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

ᲛᲬᲘᲠᲔ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲕᲐᲚᲘ

საამაყოა ჩვენი მეჩაიეების ბრწყინვალე გამარჯვება მეცხრე ხუთწლედში. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მათ მოიყვანეს და მოარიფეს 334 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 39 ათასი ტონით აღემატება გეგმას.

ქართველ მეჩაიეთა ეს გამარჯვება წარმოუდგენლად დიდია, რადგან 334 ათას ტონიდან 304 ათასი ტონა, ე. ი. მთელი მოსავლის 91 პროცენტი ხელით მოიკრიფა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ იმასაც მოწმობს, რომ ამ ყველაზე უფრო მძიმე და ხანგრძლივი სამუშაოს მექანიზაციის დონე დღევანდელ ეითარებაში შეუწყნარებლად ჩამორჩება და ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ჩვენი პლანტაციების ბუნებრივი პირობები უნდა ჩაითვალოს.

ქართველი მეჩაიეები უფრო დიდი ამოცანების წინაშე დგანან მეათე ხუთწლედში. ეს ნათლად არის აღნიშნული ძირითადი მიმართულებების პროექტში.

ცნობილია, რომ საქართველოში ჩაის პლანტაციების 75-80 პროცენტი გაშენებულია მთაგორიან ადგილებზე, დიდი დახრილობის ფერდობებზე და მცირეკონტურიან ნაკვეთებზე, სადაც ჩვეულებრივი სატრაქტორო საკრეფი აგრეგატების მუშაობა შეუძლებელია. ასეთ ბუნებრივ პირობებში უნდა გამოვიყენოთ მცირე სიმძლავრისა და მცირეგაბარიტიანი მსუბუქი მანქანები, ხელის მოტორიზებული ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატები, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ იმუშაონ ყველგან, სადაც კი გაშენებულია ჩაის პლანტაცია.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ამ დიდი მნიშვნელობის საკითხს დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა და იგი მიჩნეული იყო არაეფექტურ საშუალებად.

მხოლოდ 1973-74 წლებში, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უშუალო დავალებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იაპონიიდან, სადაც მცირე მეჩაიეობაცაა, მათი ბუნებრივი პირობების გამო მაღალ დონეზეა, შემოიტანა ორნაირი სხვადასხვა ტიპის ხელის საკრეფი და სასხლავი მანქანები. ესენია — ელექტრონრეაციანი, რომელიც იკვებება ელქსელიდან, და ზურგზე საკიდი შიგაწვიანძრავიანი მანქანები. ამ ახალმა ტექნიკამ წარმატებით გაიარა გამოცდა ოჩხამურის, ჩაქვის, ნარუჯის, ნასაკირალის, ნარაზენის, ზალენჯიხის და აჩიგვარის მეურნეობებში.

1975 წლის ფოთლის კრეფის სეზონში დაიწყო ამ მანქანების ფართოდ გამოყენება როგორც ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ისე კოლმეურნეობებში. მანქანების სრული საწარმოო გამოკვლევის მიზნით მათი მუშაობა წარმოდგა იმ მეურნეობებში, სადაც ერთდროულად დაახლოებით ერთნაირ პლანტაციებში ჩაი ხელითაც იკრიფებოდა.

მიუხედავად მთელი რიგი ხელის შემშლელი პირობებისა, როგორიც არის ტექნიკური პერსონალის გამოუცდელობა, პლანტაციების არადამაკმაყოფილებელი მომზადება, კრეფის 15-20 დღის დაგვიანებით დაწყება და მანქანების მუშა ორგანოების მედარებითი არასაკმარისი სიმტკიცე, 14 საბჭოთა მეურნეობაში (ოჩხამური, ჩაქვი, ნარუჯა, ნასაკირალი, ნარაზენი, აჩიგვარა, ზალენჯიხა, ინგირი, ლაითური, მოქვი, თხილნარი, ხალიბაური, ონარია და ვალი) 629 საკრეფი აპარატით 759 ჰექტარ პლანტაციაში 44 სამუშაო დღეში მოიკრიფა 3.294.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აქედან 1.900.300 კილოგრამი, ანუ 59,4 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. თვითეულმა მეჩაიემ ერთი აპარატით საშუალოდ 5.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო ჰექტარზე მიიღო 4.300 კილოგრამი წედლეული. მეჩაიის საშუალო გამოშუშავების კრეფის დღიურმა ნორმამ 113 კილოგრამს მიაღწია.

ამავე მეურნეობებში 7.632 მეჩაიემ, 5.132 ჰექტარზე 132 სამუშაო დღეში ხელით მოკრიფა 26.323.000 კილოგრამი ფოთოლი. აქედან 18.538.000 კილოგრამი, ანუ 70,4 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. საშუალოდ ჰექტარზე მოიკრიფა 5.132 კილოგრამი, ხოლო ერთმა მეჩაიემ სეზონის განმავლობაში (132 დღე) მოკრიფა 3.440 კილოგრამი, ანუ საშუალოდ დღეში — 26 კილოგრამი.

როგორც ამ მონაცემებიდან ვრწმუნდებით, მეჩაიეს მიერ აპარატით მოკრეფილი ფოთლის დღიური ნორმა ხელით კრეფასთან შედარებით დაახლოებით 4,4-ჯერ მეტია, მაგრამ, როგორც საშუალო ხარისხობრივი მაჩვენებელი, ისე ჰექტარზე მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა შედარებით დაბალია, რაც ერთის მხრივ მეჩაიე-მემანქანეთა გამოუცდელობით (629 მკრეფავიდან 400-მა პირველად აიღო აპარატი ხელში) აიხსნება, რამაც იმოქმედა ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც. ჰექტარზე მოსავლის განსხვავება გამოწვეულია აპარატის სამუშაო დღეების გამოყენების სიმცირით (აპარატებით ცრეფა დაიწყო 15-20 დღით დაგვიანებით და დამთავრდა 20-25 დღით ადრე, ვიდრე ხელით კრეფა).

მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მეურნეობა, სადაც ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, მაგალითად, ოჩხამურის, ნასაკირალის, ნარუჯის, თხილნარისა და ხალიბაურის საბჭოთა მეურნეობებში 1.564 ტონიდან 70 პროცენტი პირველი ხარისხის ფოთოლია მოკრეფილი. რაც შეეხება ჰექტარზე მოსავლიანობის მაჩვენებლებს, ლაბორატორიული ანალიზებით დამტკიცებულია, რომ აპარატით მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა ხელთან შედარებით დაახლოებით ერთნაირია და ამის მაგალითად გამოვეკიდებეთ აჩიგვარის, გალის, ნასაკირალის, ნარაზენის, ონარიის და სხვა მეურნეობები, სადაც აპარატით და ხელით მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე თითქმის ერთნაირია.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ პირველ წელსვე გამორნდნენ მეჩაიე ნოვატორები, რომლებმაც აითვისეს ეს ახალი მანქანები და კარგ შედეგს მიაღწიეს. აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში შ. კასაევმა 17.000 კილოგრამი ნედლეული მოკრიფა, ს. არუთინიანმა — 16.800 კილოგრამი, ბ. ჭკადუამ — 16.700 კილოგრამი, ბ. სჯაიამ — 16.300 კილოგრამი, ა. არუთინიანმა — 13.500 კილოგრამი. ამავე მეურნეობაში ქალთა რგოლმა, რომელშიც 8 მეჩაიეა გაერთიანებული, საშუალოდ თვითეულმა ხელით სამართავი მანქანით 7-9 ათასი კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა, ხოლო ნელი სახუბია და ლენა ციოლოა ზმირად დღეში 200-250 კილოგრამ ფოთოლს კრეფდნენ.

მეტად საინტერესოა აღნიშნული ტექნიკის კოლმეურნეობებში გამოყენების შედეგები. 10 კოლმეურნეობაში ჯანაწილდა 107 ცალი ბენზინმოტორიანი საკრეფი აპარატი. აქედან ოთხ კოლმეურნეობაში 56 მანქანა გამოიყენეს ივნისის ბოლო რიცხვებიდან. ამ მანქანებით 19 სამუშაო დღის განმავლობაში 65 ჰექტარზე 150.700 კილოგრამი ფოთოლი მოიკრიფა. აქედან 67,1 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ერთი აპარატით 19 დღეში მოიკრიფა 2.850 კილოგრამი და მეჩაიის დღიურმა გამოშუშავებამ 148 კილოგრამს მიაღწია, რაც უთუოდ კარგი შედეგია.

ამგვარად, აღნიშნული მანქანების გამოყენებით 3-4-ჯერ იზრდება მეჩაიის შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ხელის მანქანების ფასდაუდებელი ღირსება ის არის, რომ იგი მეჩაიეს მკვეთრად უმსუბუქებს მეტად მძიმე შრომას.

ეს საკითხი შეისწავლეს კათედრის წევრებმა, და გამოირკვა შემდეგი: ერთი მეჩაიე ხელის სასხლავი მანქანის გამოყენებით — ხელის მაკრატლთან შედარებით — 4-5-ჯერ მეტ ჩაის ბუჩჩს სხლავს და 25-ჯერ ნაკლებ მექანიკურ ენერგიას ხარჯავს.

ჩაის კრეფაზე კი, თუ ერთი მეჩაიე სეზონის 132 სამუშაო დღის განმავლობაში სამუალოდ 3.400-3.500 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს, ოცივე მეჩაიე ხელის საკრეფი მანქანით სეზონის განმავლობაში 45-50 დღის განმავლობაში 10-12 ათას კილოგრამს კრეფს და ოთხჯერ ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ეი ასეთია ჯერჯერობით მცირე მექანიზაციის სიკეთე.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ჩაის შპალერული გასხვლა ხელის მაკრატლით 6-7-ჯერ მეტად შრომატევადია, ვიდრე ფოთლის კრეფა, რაზეც, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მანქანებით წარმატებით შეუძლიათ მუშაობა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსა და ჭაბუკებს და ვინც კი ეს, ასე ვთქვათ, გონიერი მანქანა გამოიყენა, ხაბოლოოდ გადაწყვეტა ხელით აღარ კრიფოს ფოთოლი.

ახლა ჩვენს წინაშე დგას მეტად დიდი ამოცანა— ერთი მხრივ კარგად ავითვისოთ შემოტანილი იმპორტული ტექნიკა, რომ საშუალოდ სეზონის მანძილზე ერთი აპარატით სულ ცოტა 8-10 ათასი კილოგრამი ფოთოლი მოვკრიფოთ და მეორე — რაც შეიძლება მოკლე ხანში შევქმნათ სამამულო წარმოების საკრეფი და სასხლავი აპარატები.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მეათე ხუთწლედის ბოლოს ჩვენი მეჩაიეები ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევზე გაციალებით მეტ ჩაის ნედლეულს მიიღებენ. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მეტი რაოდენობა ამ პატარა მანქანებით მოვკრიფოთ. ამისთვის საჭირო იქნება გამოვიყენოთ დაახლოებით ხელის მოტორიზებული 30-40 ათასი საკრეფი და სასხლავი აპარატი.

მცირე მექანიზაციის პრობლემის გადაწყვეტა შეგვიძლია უმოკლეს დროში, რადგან საკმაოდ გამოცდილება მივიღეთ იმპორტული მანქანების წარმოებაში გამოცდით, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ მეცნიერული დასკვნები ამა თუ იმ ტიპის მანქანების უპირატესობაზე და ნაკლოვან მხარეებზე. ამასთან უნდა დავაჩქაროთ უფრო სრულყოფილი და გამძლე საშუალო მანქანების შექმნა.

გ. შხვაცაბაია,
საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსავლის აღება მანქანების კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

**განვაგრძობ სოფლის მეურნეობის ტექნიკური განვითარების ამსახველ ფოტოების ციკლს. ამჯერად ფოტოზე: ოჩამჩირის ნაკადულის ირიგაციული სისტემა (ფოთლის ფოტო). ფოთლის ფოტოზე: ბაბუშერა-ცხენისწყალი — ტექნიკური ფაბრიკა. ფოთლის ფოტოზე: ბაბუშერა-ცხენისწყალი — ტექნიკურ ფაბრიკაში ... ...

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲐᲛᲒᲣᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, (საკადესი). 20 დეკემბერს აქ კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფ. კასტრო შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს, რომელიც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას კუბის კომპარტიის პირველ ყრილობაზე.

საუბრის დროს დიდი კმაყოფილება გამოითქვა იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და კუბის ყოველმხრივი თანამშრომლობა და ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირ-კუბის დეკლარაციის შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს ლ. ი. ბრეჟნევმა და ფ. კასტრომ 1974 წელს ჰავანაში.

მ. ა. სუსლოვმა ფ. კასტროს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება სკკპ XXV ყრილობისათვის, რა ამოცანებს წყვეტენ ახლა საბჭოთა კომუნისტები, საბჭოთა ხალხი.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, რამაც კვლავ დაადასტურა, რომ საკვლებით იმთხვევა ორივე პარტიის პოზიციები, მათი მტკიცე გადაწყვეტილება აქტიურად იბრძოლონ სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების ურთიერთმოქმედების გაღრმავებას. შეთანხმონ თვალთა მოქმედება მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

შეხვედრაში, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გ. ვ. რომანოვი და. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი.

ᲙᲣᲑᲐᲡᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, (საკადესი). პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა აღიარა, რომ შეერთებული შტატები საიდუმლო მოქმედებას ეწევა ანგოლაში.

როგორც პრესა აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატები ამგვარ ოპერაციებს უკვე დიდი ხანია აწყობს ანგოლაში. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ჯერ კიდევ 1975 წლის გაზაფხულზე ანგოლაში შეკრა გახდა „40-თა კომიტეტში", იმ ორგანოში განხილვის საგანი, რომელიც განაკვებს საზღვარგარეთ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საიდუმლო სადაზვერვო ოპერაციას. ამ კომიტეტმა ცენტრალურ სადაზვერვოს სამმართველოს ნება დართო ფნლას გამითმელი დაჯუფების მეთაურისათვის მიეცა 300 ათასი დოლარი. განვლილი დროის მანძილზე, სენატორ ე. კენედის მონაცემების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უკვე გამოჰყო დაახლოებით 60 მილიონი დოლარი ანგოლის ეროვნულ ინტერესებს.

ᲝᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და საარბრიუკენის ხელოვანთა შემოქმედებითი ურთიერთობა გრძელდება. ჩვენი საზოგადოებრიობა ამ კულტურული კავშირის კიდევ ერთი კეთილი ნაყოფის მოწმე გახდა. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს წარუდგინა თავისი ახალი ნამუშევარი — მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტა", რომლის დადგმა განახორციელეს დასავლეთგერმანელმა ხელოვნების ოსტატებმა: დირიჟორმა ზიგფრიდ კიოლერმა, რეჟისორმა ჰერმან ვეიდერხდმა, დეკორაციების მხატვარმა დომი ხაანმა, მხატვარმა-გამნათებელმა ჰერბერ ვოლმაიდტმა, მხატვარმა-კოსტიუმერმა ფრიდელ ტოვემ, ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ფრანც ვაისპერბერემ. ზემოთ ჩამოთვლილ ხელოვანთა უმეტესობას ქართველი მაყურებელი იცნობს ვაგნერის ოპერა „ლოენგრინის" თბილისის საოპერო სცენაზე დადგმით.

„ჯადოსნური ფლეიტის" პრემიერას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები სოლისტებთან, გუნდთან, ორკესტრთან, რაც ჩატარა დირიჟორმა გიორგი გოცირიძემ. სპექტაკლის ქორეოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზურაბ კიკალეიშვილი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლი დაიდგა ქართულად. ოპერის ლიბრეტო, რომელიც ეკუთვნის ე. შიკანედერს, თარგმნა ცნობილმა გერმანისტმა ნელი ამაშუკელმა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ლ. ჟყონია, თ. მუშკუდიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. ჯოხთაბერიძე, ვ. კანდელაკი, ა. მიჩბა, სოლისტები მ. ადამაძე, ლ. ნადიბაიძე, ლ. კალმახელიძე, გ. დეისაძე, თ. ჭიჭინაძე, ტ. ჭანტურია, ა. კანკია, ლ. მაღნარაძე, ნ. ნადიბაიძე...

გენიალური მოცარტის ამ მშვენიერ ქმნილებას ქართველი საზოგადოებრიობა გულისყურით შეხვდა. სპექტაკლი მაყურებელმა მოიწონა, მხურვალე ტაში და თაიგულები უძღვნა. შეიქმნა კიდევ ერთი საოპერო სპექტაკლი, რომელმაც ბევრი ფიქრი აღძრა, გაგვახარა და ფართო მსჯელობის საბაბი მოგვცა.

სპექტაკლის შემდეგ შევხვდით საოპერო თეატრის დირიჟორს, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ი. ბერიძეს და „ჯადოსნური ფლეიტის" დამდგმელ ჯუფს. რა თქმა უნდა, სწუბარი ახალ დადგმას და თეატრის სპექტაკლებს ეხებოდა.

— თბილისისა და საარბრიუკენის საოპერო თეატრებს შორის, — თქვა ი. ბერიძემ, — დამყარდა ძლიერი შემოქმედებითი ურთიერთკავშირი. გამოცდილების გაზიარებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. შეიქმნა სპექტაკლები, რომლებიც აქაც და საარბრიუკენშიც საზოგადოებრიობის ინტერესი გამოიწვია. ახალმა დადგმებმა შემოქმედებითად გამდიდრა ორი თეატრის რეპერტუარი.

საოპერო თეატრმა, მთელმა შემოქმედებითმა დასმა გაითვალისწინა ქართული საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის სურვილი და ოპერა ქართულ ენაზე მოამზადა. ჩვენ ამ ფაქტს საგანგებოდ ავღნიშნავთ, რადგან მიგვანნია, რომ ცდამ, რომელსაც მივმართეთ, წარმატებით ჩაიარა და ვფიქრობთ კვლავაც ქართულად ვთარგმნოთ უცხოური ოპერები, ჩვენ საგანგებოდ მოვიწვიეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი გრიგოლ აბაშიძე და მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომლებმაც სპექტაკლის შემდეგ მაღალი შეფასება მისცეს ნ. ამაშუკელის თარგმანს და გვისურვეს ექსპერიმენტის ტრადიციად დამკვიდრება.

Ზ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲘ: დირიჟორი ზ. კიოლერი, დამდგმელი რეჟისორი ჰ. ვეიდერხდი, მხატვარი დ. ხაანი; ზემოთ მარცხნივ ლ. ᲒᲐᲛᲜᲘᲐ (ამონა), შუაში — ნ. ᲜᲐᲓᲘᲑᲐᲘᲫᲔ (პაპაგენო) და მ. ᲐᲓᲐᲛᲐᲫᲔ (ტამინო), თ. ᲛᲣᲨᲙᲣᲓᲘᲐᲜᲘ (ზარასტრო); ქვემოთ — სპექტაკლის ფინალური სცენა.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲛᲝᲒᲪᲐᲠᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲥᲚᲔᲠᲓᲐ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ

ᲙᲣᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. კუბის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის დელეგატები, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სასწავლებლებისა და კულტურული ცენტრების, რევოლუციური შეიარაღებული ძალებისა და სახელმწიფო დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციები, ერთსულოვნად იწონებენ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას და პოლიტიკურ ხაზს.

დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომელთა პროექტები გულდასმით განიხილეს და გააანალიზეს ყრილობის სამუშაო კომისიების წინათ გამართულ სხდომებზე.

კუბის კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანმა რაულ კასტრომ კენჭის საყრელად გამოიტანა კუბის კომპარტიის საპროგრამო პლატფორმის პროექტი, რომელიც ერთსულოვნად მიიღეს.

ყრილობის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მისცეს ხმა რეზოლუციებს, რომლებშიც იწონებენ სოციალისტური კუბის ახალი კონსტიტუციის პროექტს, ქვეყნის ახალ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას, მთელი კუბის ტერიტორიაზე სახალხო ხელისუფლების ორგანოების შექმნას. ყრილობამ აგრეთვე ?იღო კუბის კომუნისტური პარტიის ახალი წესდება, რომელიც ძალაში შევა 1976 წლის 1 იანვრიდან.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ. (საკადესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ ნაწილობრივ გარდაქმნა რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა. თავდაცვის მინისტრად დანიშნულია ბანსი ლალი, რომელსაც მანამდე უპორტფელო მინისტრის პოსტი ეკავა. თავდაცვითი მრეწველობის სახელმწიფო მინისტრმა რ. ნ. მირდხამ დაიკავა მომარაგებისა და შრომითი მოწყობის სახელმწიფო მინისტრის ეკანტური პოსტი. მის ადგილას დაინიშნა ვ. ნ. გადგილი, რომელსაც მანამდე ნავთობქიმიური მრეწველობის სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა.

ახალი მინისტრები ფიცს დაიდებენ 25 დეკემბერს.

ᲝᲞᲔᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲑ-ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲕᲔᲜᲐ. (საკადესი). ავსტრიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიარაღებულ პირებს, რომლებმაც გუშინ ხელო იგდეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) შტაბ-ბინის შენობა, ნება დართოს გაფრინდნენ ვენიდან მათ მიერ აღნიშნული მიმართულებით. როგორც ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილება მოიწონა ოპეკის წევრმა ქვეკა ქვეყანამ.

დღეს დილით ტერორისტები და 30 მძევალი ვენიდან გაფრინდნენ. მძევლებს შორის არის ოპეკის წევრი ქვეყნების თერთმეტი მინისტრი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ორგანიზაციის თათბირში, შეიარაღებულ პირთა თავდასხმების მომენტში რომ მიმდინარეობდა. გაფრენის საბოლოო პუნქტი გაურკვეველია, მაგრამ როგორც ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუტეფლიკამ აცნობა ავსტრიის კანცლერს, თვითმფრინავს ნებას დართავენ დაჯდეს ალჟირის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ, როგორც ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება ტერორისტებმა დაპირებისამებრ უნდა გაათავისუფლონ ყველა მძევალი.

ოპეკის შტაბ-ბინის ხელში ჩაგდებამ დიდი იგზოონანხი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. პრესის ორგანოები აღნიშნავენ ამ აქციის საეჭვო ხასიათს. ზოგიერთი მათგანი წერს, რომ ოპეკი დიდი ხანია გახდა ნავთობის საერთაშორისო მონოპოლიების სიძულვილისა და თავდასხმის ობიექტი, რამდენადაც იგი იცავდა ნავთობის მომპოვებელი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲮᲚᲠᲛᲭᲠᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ სფსრ მწერალთა IV ყრილობის დელეგატები და სტუმრები 18 დეკემბერს საბოლოო სხდომაზე შეიკრიბნენ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

გამოაქვეყნეს რუსეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობის დელეგატების არჩევნების კენჭისყრის შედეგები. არჩეულია გამგეობა 172 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია — 67 კაცი.

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საბჭოთა რუსეთის მწერლები, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ IV ყრილობაზე, ნათქვამია ამ დოკუმენტში, გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე ჭეშმარიტად ყოველდღიური ლენინური ზრუნვისათვის.

მწერლები აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მსატვრული შემოქმედების იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები მუდამ იქნება მანათობელი ვარსკვლავი საბჭოთა მწერლების ყველა თაობისათვის.

რუსეთის სფსრ მწერალთა IV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

18 დეკემბერს გაიმართა რუსეთის ფედერაციის მწერალთა IV ყრილობაზე არჩეული სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

პლენუმმა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ს. ვ. მიხალკოვი, თავმჯდომარის მოადგილედ — ი. ვ. ბონდარევი. (საკადესი).

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ, სამრეწველო ცენტრების, კურორტების კეთილმოწყობას დიდი ყურადღება ეთმობა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ასრულებენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, სპეციალური სამსახურები. მათ აქტიურად ეხმარებიან მშრომელები.

ქალაქ კურორტ გაგრის კეთილმოწყობისა და გამწვანების პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს ქალაქ გაგრის ზონის კომეფურნეობა „მეგობრობის" მშრომელებმა, სოფელ ზზიფის № 1 და № 2 სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, ორლესმაც მოეწყოდეს საქართველოს ფაბრიკების, ქარხნების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების კოლექტივებს თავიანთი წვლილი შეტანილ ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში.

კოლმეურნეების, სოფელ ზზიფის მოსწავლეებისა და პედაგოგების მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

ყოველწლიურად იზრდება და მშვენდება საკავშირო კურორტი გაგრა. შენდება ახალი ჯანმრთელობის კერები, საცხოვრებელი სახლები, უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქუჩები და გზები. ჩვენი ქალაქ-კურორტისათვის ზრუნვის პასუხად **გადავწყვიტეთ გავამწვანოთ შავი ზღვის გზატკეცილი, რომელიც კოლმეურნეობისა და სკოლების ტერიტორიაზე გადის, დავრგათ ხეები, მოვუაროთ მათ. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს (საქინფორმი).**

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲐᲠᲓᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ 1975-76 სასწავლო წლის მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იწყება 1975 წლის 31 დეკემბრიდან. მეცადინეობა შეწყდება 30 დეკემბერს, სამშაბათს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდება 1976 წლის 12 იანვარს, ორშაბათს.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქალთა მერვე საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა მოჭადრაკეების დიდი წარმატებით დამთავრდა.

მართალია, ბოლო, მეცამეტე ტურში პირველი ადგილის პრეტენდენტები ჩიბურდანიძე და ახმარუმოვი დამარცხდნენ: თბილისელი — რაიპერთან, ხოლო მოსკოველი — წერეთელთან, მაგრამ 12 შესაძლებლიდან 8,5 ქულით მაინც გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები. ჩიბურდანიძე თამაშობდა მისთვის დამახასიათებელი შემტევი მანერით, არ ერიდებოდა გარეულებებს, სადაც მეტოქეებზე უკეთ ერკვეოდა. რამდენადმე მოულოდნელი იყო 18 წლის ახმარუმოვს ესოდენ კარგი შედეგი. მოსკოველი მოჭადრაკე, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა დიდი შეუპოვრობით.

7,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ნორჩმა მოჭადრაკეებმა გურიელმა და იოსელიანმა. ორივე მათგანმა ჭეშმარიტად გაახარა ჩვენი გულშემატკივრები. გურიელი და იოსელიანი მარტო ინიციატივისაკენ მუდმივი მისწრაფებით კი არ გამოირჩევიან, არამედ კარგი თეორიული მომზადებითაც. 7 ქულით მეხუთე ადგილზე გამოვიდა 18 წლის წერეთელი, რომელიც ამ ტურნირში ენერგიულად, შემართებით თამაშობდა.

დანარჩენი მონაწილეების შედეგები ასეთია: ხუგაშვილმა, ჯახაბრიშვილმა და რაიპერმა მოაგროვეს 6-6 ქულა, ჯობაიძემ და მიხელმა — 5,5, კარაკაშნემ და პიპაილიჩმა — 4, პოლანთვამ — ორი.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ Ფ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ერევანში დამთავრდა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი ვაქთა შორის.

უკანასკნელი, მეთხუთმეტე ტურის წინ პეტროსიანმა დაამარცხა გულკო. უკანასკნელ ტურში მოსკოველი დიდოსტატი ყაიმზე შეუთანხმდა ალბურტს, 15 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა და მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა.

მეორე-მეხუთე ადგილები 9,5 ქულით გაიყვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა, დიდოსტატმა ვაპანიანმა, საერთაშორისო ოსტატმა გულკომ და რომანიშინმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲙᲘᲕᲘᲠᲐᲡ ვილნიუსში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) პირველ წრის დასკვნითი ტური. თბილისის „დინამო" შეხვდა მოსკოველ თანაკლასელებს. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 33:33. შესვენების შემდეგ მოსკოველმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და გაიმარჯვეს ანგარიშით 79:67. შინსკის რტი-მ მოუგო „ურალმაშს" — 96:84, „ალგირისმა" — „სტროიტელს — 94:84, „სტატბამ" — რიგის სკა-ს — 98:75.

გუშინ მეორე ტურში თბილისის „დინამო" შეხვდა ერევნის სკიფ-სანგარიშით 103:90 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ცსკა-მ მოუგო რტი-ს — 118:77, მოსკოვის „დინამომ" — „ურალმაშს" — 96:85.

დღეს ქართველი კალათბურთელები ხვდებიან ლენინგრადის სპარტაკელებს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲥᲐᲛᲒᲔᲑᲘ

ᲙᲚᲔᲜᲑᲣᲚᲘ. ბულგარელმა ხრისტო პლაჩკოვმა (მეორე ძმიმე წონა) გაიუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი ატაცში — 197,5 კილოგრამი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ვილნიუსში დამთავრდა ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) პირველი წრის მატჩები. გათამაშებას 11 ქუილთ ლიდერობს რიგის ტტტ, რომელმაც ყველა მატჩი მოიგო. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის ოლქის სპარტაკელები (10 ქულა), ლენინგრადის „სპარტაკი" (9) და მოსკოვის „დინამო" (8).

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. სტოკჰოლმში გაიმართა დევისის თასის გათამაშების ფინალი შვეიცისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომლებსაც თაოსნობდა ცნობილი ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი.

ᲥᲝᲙᲔᲘ

„ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ"

ᲞᲠᲘᲖᲘ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ლუენიკის სპორტის სასახლეში კვირას დამთავრდა ᲥᲝᲙᲔᲘᲡᲗᲐ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის". პრიზზე, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცის და ფინეთისა.

კარგად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონმა — საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც დაამარცხა სამივე მეტოქე სხვადასხვა ანგარიშით 14:7 და სპასტაკელი მოიპოვა.

მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, მესამეზე — შვეიცარია.

ᲙᲠᲘᲖᲘ

„ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲒᲐᲜᲘ" — Გ. ᲖᲐᲠᲔᲕᲡ

ᲙᲘᲕᲘᲠᲐᲡ ლენინგრადში, სპორტის სასახლე „საიუბილეოში" გაიმართა სსრ კავშირის მერვე ბანკეტი პირველობის ფინალური ორთაბრძოლა.

გასული წლის აბსოლუტური ჩემპიონი, 25 წლის ევგენი გორსკოვი (ორსკი) შეხვდა ამ ტიტულის პრეტენდენტს, 22 წლის მოსკოველ ალექსეი ზაევს. ეს მეტოქეები ადრე სამგზის შეხვდნენ ერთმანეთს და ორ ფეხში პირველ სამ ადგილზე. გასულებმა ფინალური ექვსეული მაინც და პირველობა წრიული სისტემით გაითამაშეს.

კვირა საღამოს გაიმართა დასკვნითი ორთაბრძოლები. საქართველოს 1975 წლის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა 21 წლის ოთარ ყურაშვილმა (მეორენელი — სსრ კავშირის დასასურული მწვრთნელი ქ. ნინაშვილი). აღსანიშნავია, რომ ამ სპორტის ტიტულს ო. ყურაშვილი მეორედ ფლობ — პირველად იგი 1973 წელს გახდა საქართველოს ფალავანი.

მეორე ადგილზე გამოვიდა თელაველი თენგიზ წითელაური, მესამეზე — გიორგი ქამხაძე (თბილისი).

Ო. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ



ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ
Ბ. ᲗᲐᲗᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მ. გორკი „მტრები". გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.50 — ქართული მხატვრული ფილმი „განაჩენი", 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.20 — კინონარკვევი, 17.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.15 — „წარმოების ეკონომიკისა და მართვის მეცნიერული საფუძვლების შემსწავლელთათვის", 18.40 — განცხადებები, 18.45 — „მომავე რესპუბლიკების საეტარდო ხელოვნება", 19.15 — გადაცემა „საახალწლო საჩუქარი", 19.35 — კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისი, 20.05 — სპორტული მიმოხილვა, 20.25 — „ყრილობიდან — ყრილობამდე" — ჭიათურა, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრალური ფოსტა", დასასრულ — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.25 — კინონარკვევი — „შეხვედრები ტუვაში", 19.45 — სტუდენტთათვის — პოლიტეკონომია, 20.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დამრიგებელთა წრეში", 21.00 — განცხადებები, 21.05 — მხატვრული ფილმი „ამხანაგი ბრიგადა" (პირველი სერია).

ᲠᲐᲓᲘᲝ

24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვოკალური ოქტეტის კონცერტი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. სკრიაბინი — „ეტიუდი ბემოლ მაჟორში", 11.45 — „პოეტი ქალები" — ბ. ახმადულინა, 12.10 — ახალგაზრდობისათვის. „პატაკი ხუთწლედს", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 14.00 — რ. შტრაუსი. ოპერა „კაპრიჩიო", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა", 18.10 — ქართული ვაჟური. მუსიკა, 18.45 — ს. პროკოფიევი. ბალეტ „ქვის ყვავილის" ნაწყვეტები, 19.00 — ნარკვევი „ხუთწლედის ვეარდიელი", 19.15 — კონცერტი (ლ. იაშვილის ნაწარმოებებიდან), 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „სოციალისტური შეჯიბრება მასების შრომითი აქტივობის მობილიზაციის მძლავრი საშუალებაა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — ა. ტოლსტოი. „საბჭოური ხასიათი". რადიოდადგმა (პრემიერა), 23.30 — ბრაზილიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

23 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲙᲐᲛᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲐᲠᲪᲘᲡ ᲬᲠᲔ;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო — **ᲗᲔᲗᲚᲘ ᲞᲐᲞᲐᲘᲝᲡᲜᲘ;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲓᲔᲓᲝᲚᲘᲡᲬᲘᲚ